ოთხი ბურთი ერთ ტაიმში

ვოროშილოვგრადი. “ავანგარდის” სტადიონი. 13 ივლისი.

“ზარია” (ვოროშილოვგრადი) – “დინამო” (თბილისი) 2:2 (0:0).

“ზარია”: კლიუევი, პინჩუკი, მალიგინი, აბრამოვი, ავერიანოვი, ჟურავლიოვი, კუზნეცოვი, ბელოუსოვი, ელისეევი, კუკსოვი, ანდრეევი.

“დინამო”: გოგია, მუჯირი, ქორიძე, ებრალიძე (ჭელიძე), ხიზანიშვილი, ასათიანი, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, რეხვიაშვილი, ყიფიანი, წერეთელი.

მსაჯი: პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:3.

უახლოესი მეზობლობა სატურნირო ცხრილის მეწინავე ჯგუფში როგორც “ზარიას” ისე “დინამოს” ფეხბურთელებს რთულ ამოცანებს უსახავდა. გამარჯვება ორივე გუნდს უმტკიცებდა მდგომარეობას ლიდერთა სამეულში და საამისოდ, რა თქმა უნდა, ღირდა მთელი ძალღონით ბრძოლა. მაგრამ წაგების საშიშროება საგრძნობლად ზღუდავდა რისკის გაწევის სურვილს, ამას გარდა, როგორც ვოროშილოვგრადელებს, ისე თბილისელებს სამი დღის შემდეგ ძალიან ძნელი ნახევარფინალური მატჩები ელოდათ სსრ კავშირის თასისთვის, რაც მოითხოვდა ძალების გარკვეულ ეკონომიას. ამიტომ იყო, რომ პირველ ტაიმში მეტოქეები ერიდებოდნენ ბრძოლის გამწვავებას, მეტ დროს საკუთარი კარის დაცვას და შუა მინდორს ანდომებდნენ, თუმცა დინამოელებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, როცა მ. მაჩაიძემ ძელს მოახვედრა ბურთი.

მეორე ტაიმში მდგომარეობა შეიცვალა. უკვე დასაწყისშივე, 49–ე წუთზე, ანდრეევი პირისპირ დარჩა მეკარე გოგიასთან და ზუსტად დაარტყა. ამას მოჰყვა სტუმრების ხანგრძლივი იერიში, მ. მაჩაიძემ, ასათიანმა, რეხვიაშვილმა ერთობ სახიფათო მომენტები შექმნეს “ზარიას” კართან, ბოლოს, 63–ე წუთზე, რეხვიაშვილის დარტყმამ მიაღწია მიზანს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ყიფიანმა მეორედ აიძულა კლიუევი ბადიდან გამოეტანა ბურთი.

მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (ბურთი თავით გაიტანა კუკსოვმა) და დარჩენილ დროში მეტოქეები კვლავ გადავიდნენ უწინდელ ტაქტიკაზე: გააძლიერეს დაცვითი რგოლები და შეუდგნენ ბურთის ნელ გათამაშებას მინდვრის ცენტრში. შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

ი. სკრივკო. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 15 ივლისი, 1975 წ.